თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ.თელავი 23. 08. 2022 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **თინათინ ხანჯალიაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, გივი ლაფაური, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ქეთევან ილაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **მარიამ ლილუაშვილი.**

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

   მომხს: ლ.ბერძენაშვილი

2. ა (ა)იპ ,,თელავის სატრანსპორტო სამსახურსა'' და ს.ს.,,თიბისი ბანკს '' შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ''.

   მომხს: ლ.ბერძენაშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

მომხს: ლ.ბერძენაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: **ლევან ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით ცვლილება შედის დადგენილების მე-2 და მე-6 მუხლებში, რომლის მიხედვითაც ფართოვდება იმ ბენეფიციართა კატეგორია, რომლებიც ისარგებლებენ შეღავათებით, აგრეთვე ზუსტდება იმ ორგანიზაციათა ჩამონათვალი, რომელთაც უნდა ეთხოვოთ, რომ ბენეფიციარების შესახებ ყოველ კვარტალურად მიაწოდონ განახლებული მონაცემები ააიპ „თელავის სატრანსპორტო სამსახურს".

ბაადურ გულიაშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს რომ იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის 4 წევრი ხოლო აქედან მხოლოდ ერთია რომელსაც აღნიშნულ სერვისზე სარგებლობს საშეღავათო ბარათით ამ შემთხვევაში თუ შეუძლია ბარათი ათხოვოს ოჯახის წევრებს რომლებიც ვერ სარგებლობენ ბარათის სერვისით რაზეც **ლევან ბერძენაშვილმა** უპასუხა, რომ ბარათით მხოლოდ ისარგებლებს ის პირი ვისზეცაა გაცემული, ხოლო ავტობუსში აღნიშნულ საკითხს გააკონტროლებს კომპანიის მიერ დაქირავებული კონტროლიორი

იმედა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ საფასურის ამოღების შემდგომ სატრანსპორტო სამსახური არ იქნება წამგებიანი და კონტროლიორის ხელფასების ხარჯს მაინც დაფარავს.

მიხეილ დაღუნდარიძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ დაასაქმებენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს. კომისიის სხვა წევრების მხრიდან შენიშვნები ან მოსაზრებები არ გამოთქმულა.

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დადებითი რეკომენდაცია, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N11 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ,,M3 კატეგორია

რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ'' ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს: 2. ა (ა)იპ ,,თელავის სატრანსპორტო სამსახურსა'' და ს.ს.,,თიბისი ბანკს '' შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ''.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა **ლევან ბერძენაშვილმა** გააკეთა განმარტება, რომ ხელშეკრულ;ების პროექტი არის სტანდარტული, არ ეწინააღმდეგება სამართლებრივ ნორმებს და ეთანხმება მის შინაარსს. **ბაადურ გულიაშვილმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ ხელშეკრულების პროექტში არსებული 14 დღიანი ვადა, რომელიც მოიცავს ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში მისი შეკეთების მაქსიმალურ ვადას არის ბევრი და სასურველი იქნებოდა დროის შემცირება. კომისიის სხვა წევრებს შენიშვნები ან განცხადებები არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დადებითი რეკომენდაცია, ა(ა)იპ ,,თელავის სატრანსპორტო სამსახურსა'' და ს.ს.,,თიბისი ბანკს '' შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ''.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ლევან ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2022 წლის 01 აგვისტოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა **ალექსი ძულიაშვილმა,** აგრეთვე თანამდებობა დატოვა ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ **ბაადურ რევაზიშვილმა.** ამავე დღისით ჩატარებული ამავე ფრაქციის სხდომის შესაბამისად, ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეული იქნა **ბაადურ რევაზიშვილი,** ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ **ალექსი ძულიაშვილი. ლევან ბერძენაშვილმა** აგრეთვე განმარტა, რომ ამ ცვლილებების შედეგად რაიმე სახის სამართლებრივი უზუსტობა არ გვაქვს სახეზე და ქმედება თანხვედრაშია მოქმედ სამართლებრივ ნორმებთან. შესაბამისად კომისიის მხრიდან საკითხი უნდა ეცნობოს საკრებულოს ბიუროს დადებითი შეფასებით. კომისიის სხვა წევრების მხრიდან შენიშვნები ან განცხადებები არ გამოთქმულა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ეცნობოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი